ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 561

“ 21 ” ნოემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისში, შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით რიგი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 ნოემბრის №23.1744.1928 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ათორის“ (ს/ნ 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით შემდეგი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე:

ა) „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, იმ დაინტერესებული პირების მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხები, რომელთა მიმართ გამოყენებულია ან შემდგომში იქნება გამოყენებული შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შპს „ათორის“ (ს/ნ. 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების (შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ან/და ამ დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში არსებული დაზარალებულებისათვის შესაბამისი უძრავი ქონების გადაცემა ან/და მათი დაფინანსება შესაბამისი ფინანსური სახსრების პირდაპირ გადაცემით (შესაბამისი თანხის დაზარალებულების მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვა) ან/და ამ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება) მიზნით;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის მიზნებისათვის, არ გამოიყენება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში დაინტერესებული პირების მიერ

გადახდილი/გადასახდელი თანხების ის ნაწილი რაც აუცილებელია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელი მშენებლობების დასრულებისათვის, მათ შორის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის №2053 განკარგულებით გათვალისწინებული ის თანხა, რომელიც გათვალისწინებულია იმ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უდასტურდებათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე